### ორსულობის გამო გამათავისუფლეს სამსახურიდან. შემიძლია თუ არა მივმართო სახალხო დამცველს?

სახალხო დამცველი სწავლობს ქალთა უფლებების დარღვევის თითოეულ შემთხვევას, მათ შორის, დასაქმების ადგილზე ქალთა დისკრიმინაციის ფაქტებს.

### ჩემი მეუღლე მიკრძალავს სახლიდან გასვლას, თუ არ ვემორჩილები მცემს. შემიძლია თუ არა მივმართო სახალხო დამცველს?

სახალხო დამცველი სწავლობს ოჯახში ძალადობის ფაქტებს, მათ შორის ქალთა უფლებების დარღვევებს, ქალზე ძალადობის ცალკეულ შემთხვევებს და შესაბამის რეაგირებას ახდენს.

**მოგვმართეთ, რათა ერთად დავიცვათ თქვენი უფლებები!**


თბილისი:
ნინო რამიშვილის ქ. №6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. №9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 577 50 52 31

ზუგდიდი:
კოსტავას ქ. №58
ტელ.: 0415 22 36 1
მობ.: 577 50 52 34

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. №4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70; 577 12 27 71

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. №18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

გორი:
სამების ქ. №1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 577 78 27 42

მარნეული:
რუსთაველის ქ. №51
ტელ.: 357 22 19 70
მობ.: 593 17 18 55


## დაირღვა თქვენი უფლებები?

## მიმართეთ სახალხო დამცველს!

საქართველოს სახალხო დამცველი

**www.ombudsman.ge**


გამოცემულია სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით


UNDP

*Empowered lives. Resilient nations.*

# გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი ქალთა (ადამიანის) უფლებების დასაცავად

საქართველოს სახალხო დამცველი


თბილისი 2013

## საქართველოს სახალხო დამცველი და ქალთა უფლებების დაცვა

ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს, რომლის უზრუნველსაყოფად 2013 წლის 15 მაისიდან შექმნილია გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი.

**დეპარტამენტის მიზანია**, გენდერული თანასწორობის კუთხით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობა, სახალხო დამცველის რეგულარული უფლებადაცვით საქმიანობაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება საქართველოში გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიზნით.

## დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- გენდერული თანასწორობის საკითხის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადების/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნის/რეკომენდაციის/წინადადების მომზადება;
- ქალთა დისკრიმინაციისა და შევიწროების ფაქტების შესწავლა და მათზე რეაგირება;
- კვლევითი, საგანმანათლებლო და გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული საქმიანობები;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის ზედამხედველობა.

## ვის შეუძლია მიმართოს გენდერული თანასწორობის დეპარტამენტს?

➢ საქართველოს მოქალაქეს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა თუ მოქალაქეობის არ მქონე პირებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ დაირღვა მათი უფლებები გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით ან ნებისმიერ მესამე პირს, რომლისთვისაც ცნობილი გახდა სავარაუდო დარღვევის შესახებ, შეუძლიათ მიმართონ სახალხო დამცველს განცხადებით ან საჩივრით;

## უფასოა, თუ არა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მომსახურება?

დეპარტამენტის მიერ დაინტერესებულ პირთათვის გაწეული სამსახური უფასოა. განცხადება ან საჩივარი არ იბეგრება სახელმწიფო გადასახადით.

## რა ფორმით შეიძლება მიმართო გენდერული თანასწორობის დეპარტამენტს?

სავარაუდო უფლებადარღვევასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს წერილობითი განცხადება ან საჩივარი შეგიძლიათ გაუგზავნოთ ფოსტით, მათ შორის, ელექტრონული ფოსტითაც, ასევე, დაგვიკავშირდეთ ტელეფონის მეშვეობით ან უშუალოდ მოიტანოთ სახალხო დამცველის ოფისში.

## არის თუ არა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტისათვის ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალური?

თუ თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეიცავს პირად, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას, აღნიშნული ინფორმაცია თქვენი თანხმობის გარეშე არ იქნება ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის.

## შეუძლია თუ არა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტს სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა?

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სამართლებრივი კონსულტაციის მიღება შესაძლებელია როგორც სატელეფონო ზარის, ისე გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელთან საკონსულტაციო შეხვედრის შედეგად.

## როგორია საჩივრის განხილვის ვადები?

სახალხო დამცველი განცხადების ან/და საჩივრის განხილვისას არ არის შეზღუდული დროში. განცხადების განხილვისთვის საჭირო დრო დამოკიდებულია მასში დაფიქსირებული პრობლემის შინაარსსა და სირთულეზე.

## შეუძლია თუ არა სახალხო დამცველს სამართლებრივი დავის გადაწყვეტა?

სახალხო დამცველი არ არის უფლებამოსილი თავად გადაწყვიტოს სამართლებრივი დავა. მას შეუძლია რიგ შემთხვევებში, რეკომენდაციით მიმართოს სამართლებრივი დავის მონაწილე ან განმხილველ საჯარო დაწესებულებას.

---

საქართველოს სახალხო დამცველს
ბატონ უჩა ნანუაშვილს

# განცხადება

მონაცემები განმცხადებლის შესახებ

სახელი: ____________________

გვარი: ____________________

მისამართი: ქალაქი (რაიონი): __________ ქუჩა: __________ №

ტელეფონი: __________ ელ-ფოსტა: __________

პირადი ნომერი: __________

თარიღი: __________
წელი, თვე, რიცხვი

განმცხადებლის ხელმოწერა: __________